



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

12303-15-14-2-201911131142



N 15-14/12303

13/11/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რეკომენდაცია

მსჯავრდებულ [REDACTED] N2 პენიტენციური დაწესებულებიდან მისი ან მისი ახლო
ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის
დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 27 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ესაუბრა მსჯავრდებულ [REDACTED]
[REDACTED] რომელმაც აღნიშნა, რომ მისი და მისი ახლო ნათესავების მუდმივი
საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი, თუმცა, სამი წელი და ოთხი თვეა განთავსებულია N2
პენიტენციურ დაწესებულებაში.

[REDACTED] განმარტებით, მან არაერთი წერილით მიმართა პენიტენციურ დეპარტამენტს,
რათა გადაეყვანათ ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში,¹
თუმცა უშედეგოდ. მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრები, ჯანმრთელობისა და
მატურიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ვერ ახერხებენ ქ. ქუთაისში ჩამოსვლას,
შესაბამისად, ეზღუდება კუთვნილი ხანმოკლე პაქნით სარგებლობისა და ამანათის მიღების
უფლება.

¹ N8 პენიტენციური დაწესებულება.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2019 წლის 24 ივნისს N15-14/8347 წერილით N2 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოვითხოვთ [REDACTED] შესახებ სათანადო ინფორმაცია. მიღებული პასუხის თანახმად², პირად საქმეში არსებული მონაცემებით, მსჯავრდებულის რეგისტრაციის/ფაქტობრივი მისამართია: [REDACTED]

[REDACTED] აღნიშნულია, რომ [REDACTED] N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულია 2016 წლის 19 თებერვლიდან, მას განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკი. მსჯავრდებულს ხანმოკლე პაემნით N2 დაწესებულებაში არც ერთხელ უსარგებლია, ხოლო ხანგრძლივი პაემანით ისარგებლა ორჯერ - 2018 წლის 3 ივნისს და 22 აგვისტოს.

აღსანიშნავია, რომ [REDACTED] ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2017 წლის შემდგომ პერიოდულად მიმართავდა³ პენიტენციურ დეპარტამენტს. მიღებული პასუხების თანახმად,⁴ [REDACTED] N8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა, გადატვირთულობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, არ იგეგმებოდა.

ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან 2019 წლის 30 აგვისტოს მიღებული N257474/01 პასუხის თანახმად, 2019 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო 1356 ბრალდებული და 1430 მსჯავრდებული - სულ 2786 პატიმარი.

სამართლებრივი დასაბუთება:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი.⁵

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება ამსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის⁶ დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის

² 2019 წლის 1 აგვისტოს N228710/20 წერილი.

³ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2017 წლის 5 ოქტომბრის N11-3/13882, 2017 წლის 31 ოქტომბრის N11-3/15206 და 2018 წლის 12 თებერვლის N11-3/2336 წერილები.

⁴ პენიტენციური დეპარტამენტის 2017 წლის 5 ნოემბრის MOC 9 17 00899954 და 2018 წლის 24 თებერვლის MOC 4 18 00172066 პასუხები.

⁵ იხ. ვინტენი უკრაინის წინააღმდეგ, N28403/05, პარ. 78.

⁶ თუ კაცი უკავშირდება უსასურებელ სამართლის უსასურებელ დოკუმენტის დამოკრატიულ საზოგადოების.

უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, სამი წელზე მეტი ხნით ოჯახის საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პარმის უფლებას.⁷ სასამართლოს შეფასებით, ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში.⁸

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.⁹ ამასთან, ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.¹⁰

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.¹¹ ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.¹²

აღსანიშნავია, რომ N8 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად,¹³ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ დახურული ტიპის თავისუფლების აღვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა ან საშიშროების მომეტებული რისკი, შესაძლებელია ასევე განთავსდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე N9 პენიტენციურ დაწესებულებაში,¹⁴ N12 პენიტენციურ

⁷ იბ. ბილირკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინაღმდეგ. 11082/06, 13772/05, 25.07.2013.

⁸ შესინა იტალიის წინაღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.

⁹ ევროპული ციხის წესები - პუნქტ. 17.1.

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მირცვლი ნაწილი.

¹¹ გურის მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (წელსომ მანდელას წესები), წესი N106.

¹² იქვე წესი 59.

¹³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N120 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N9 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

დაწესებულებაში,¹⁵ N15 პენიტენციურ დაწესებულებაში¹⁶ და N17 პენიტენციურ დაწესებულებაში.

¹⁷ თუმცა, არსებული პრაქტიკის თანახმად, სამიმროების მომეტებული რისკის მსჯავრდებულები განთავსებული არის N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებები.¹⁸

ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 3170 ბრალდებული/მსჯავრდებული.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ N8 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტი მნიშვნელოვნად აღემატება N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა იმ საერთო რაოდენობას¹⁹, რაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან (დადგენილი ლიმიტია - 3170 პატიმარი, მოთავსებული იყო - 2786 პატიმარი), მსჯავრდებულ [REDACTED] N8 დაწესებულებაში გადაყვანა გამორიცხავს გადატვირთულობის პრობლემის წარმოქმნას.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ან მისი ახლოს ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [REDACTED] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, გადაიყვანოთ შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

¹⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N115 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N12 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N111 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁷ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N110 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁸ არსებული პრაქტიკით, N15 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული არიან მსჯავრდებულები, რომელთაც მულტიდისკიპლინური გუნდის მიერ დადგენილი აქვთ საშიშროების სამუალო რისკი. შესაბამისად, დებულებებში ასახული შესაძლებლობის მიუხედავად, სამშროების მომეტებული რისკის მსჯავრდებულები არ არიან განთავსებული აღნიშნულ დაწესებულებებში. მსგავსი პირობებით და იგივე რისკის პატიმრებია მოთავსებული N9 და N12 პენიტენციურ დაწესებულებებშიც, იმ განსხვავებით, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით, N9 და N12 პენიტენციურ დაწესებულებებში მირითადად მოთავსებული არიან სამოხელეო დანაშაულისთვის თავისუფლებაშეზღუდული/თავისუფლებადალვეთილი პირები, ამასთან, N12 პენიტენციურ დაწესებულებაში N15 და N17 პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად ფუნქციონირებს დებულებით განსაზღვრული მხოლოდ ნახევრად ღია ტაბის ჩაწილით.

¹⁹ 2019 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით.

პატივისცემით,

ნინო ლომბგარია

სახალხო დამცველი

5-


